პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ოქტომბერი _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---- ოქტომბრის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706; ფართობი - 2374. 00 კვ.მ; სკვერი) 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (№006657122; 26.09.22წ.) სასაქონლო დასკვნის მიხედვით, რომელიც შეადგენს 14 956.00 (თოთხმეტიათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს, ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706; ფართობი - 2374.00 კვ.მ; სკვერი) გამოიყენოს ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) ვალდებულია მოახდინოს ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706) მდებარე უძრავი ქონებიდან (სკვერი) ნაწილის (2000კვ.მ) განაშენიანება, კეთილმოწყობა (მწვანე ნარგავების განახლება, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის
ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) განცხადება (24.08.2022 წ. 10/4422236224-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706; ფართობი - 2374. 00 კვ.მ; სკვერი) მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს (სკვერი; ფართობი: 43455.00 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706; ფართობი - 2374. 00 კვ.მ; სკვერი) მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (№006657122; 26.09.22წ.) დასკვნის მიხედვით, რომელიც შეადგენს 14 956.00 (თოთხმეტიათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706; ფართობი - 2374.00 კვ.მ; სკვერი) გამოიყენოს ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205284093) ვალდებულია მოახდინოს ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.25.706) მდებარე უძრავი ქონებიდან (სკვერი) ნაწილის (2000კვ.მ) განაშენიანება, კეთილმოწყობა (მწვანე ნარგავების განახლება, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ქალაქ ,,ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი